ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ოქტომბრის 31. № 27 ფოილისი.

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

158. ყრილობების, კონფერენციების და თათბირების ნებადართვის წესის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

159. $7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ფარგლებში სათანადო ნებართვის გარეშე შესულ პირთა გადასახდელის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

160. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის შესახებ.

161. საავტოტრაქტორო პარკისა და სატრაქტორო ქონების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.

ტრანსპორტი.

162. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების უფლებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

163. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დებულების მე-3 მუხლის „ე" პუნქტის შეცვლისა და „გ" პუნქტის ამოშლის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

164. სახანძრო დაცვის შესახებ.

შ რ ო მ ა.

165. „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერაციულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების მე-8, 9, 10 და 11 მუხლების გაუქმებისა და მე-12 მუხლის შეცვლის შესახებ.

166. „მუშათა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშვთა დაცვის დაწესებულებებისათვის გადასადები ანარიცხების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-4^1 მუხლით შევსების შესახებ.

167. პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციებისათვის დასვენების სახლების, სანატორიუმებისა და სხვა სოციალურ-პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ დაჭერილი მუნიციპალიზებული შენობების განკუთვნის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

168. საბიბლიოთეკო ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

ისტ. 22
843

158. დადგენილება ს.კ.ს.

ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების ნებადართვის წესის შესახებ

„ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების ნებადართვის წესი შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართასაბჭოს 1935 წ. მაისის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 26, მუხ. 209) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 29-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყრილობებისა და აგრეთვე კონფერენციების და თათბირების მოწვევა ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ხოლო შინასაუწყებო თათბირების მოწვევა მუშაობის ცალკეული დარგების გამო— საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრის ან ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელის ნებართვით.

2. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ორგანიზაციებს რესპუბლიკანური და საოლქო ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების მოწვევა, ადგილების წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეუძლიათ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 17-ის დადგენილება „ყრილობებისა და თათბირების მოწვევისათვის ნებართვის მიცემის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-№-ი, მუხ. 54) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 25. № 1136.
ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

159. დადგენილება

$7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ფარგლებში სათანადო ნებართვის გარეშე შესულ პირთა გადასახდელის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სანაპირო ზოლში შესვლისა და ცხოვრების შესახებ გამოცემულ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოს 1935 წლის ივლისის 17-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ . კრ. 1935 წ. 45 №-ი, მუხ. 577) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა ბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 ლის იანვრის 4-ის დადგენილება $7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ფარ- ლებში სათანადო ნებართვის გარეშე შესულ პირთა გადასახდელის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 2 №-ი მუხ. 13).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ა. ქავთარაძე.**

935. სექტემბრის 10. № 1202.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

160. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას ქვემომდევნო დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა. **თ. ჟღენტი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვაშაკიძე.**

1935 წ. აგვისტოს 2. № 70.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის შესახებ.

1. მშრომელ ებრაელთა მასების სამიწათმოქმედო წარმოებაში და საერთოდ საწარმოო საქმიანობაში ჩაბმის მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსდება მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტი.

2. მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის ამოცანებს შეადგენს:

ა) მშრომელი ებრაელების მიწათმოწყობისათვის თავისუფალი მიწებიდან დასასახლებელი რაიონებისა და მიწის ნაკვეთების განსაზღვრა სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით;

ბ) გადასახლებული და ჩასახლებული მშრომელი ებრაელების გამოყოფილ ნაკვეთებზე დამკვიდრება გადასახლებულთა და ჩასახლებულთათვის დადგენილი შეღავათების შეფარდებით;

გ) სოფლის მეურნე მშრომელ ებრაელთა კოლმეურნეობებში გაერთიანებისათვის ხელის შეწყობა და ამ კოლმეურნეობების განვითარების უზრუნველყოფისათვის ღონისძიებების მიღება;

დ) ღონისძიებების განხორციელება ებრაელთა ჩასაბმელად სახალხო მეურნეობაში (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, შინამრეწველობა და სხვა).

3. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში წარდგენით კომიტეტზე დაკისრებულ ამოცანათა შესახებ, კერძოდ, მთავრობის იმ ღონისძიებათა შეთანხმების შესახებ, რაც შეეხება მშრომელი ებრაელების მიწათმოწყობას, მათ შორის შინამრეწველობის განვითარებას და მათ ჩაბმას წარმოების სხვა დარგებში;

ბ) მოიწვიოს თათბირები მშრომელი ებრაელების მიწათმოწყობის და მრეწველობაში ჩაბმის საკითხებზე და მიიღოს სათანადო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ცნობები იმ საკითხებზე, რაც დაკავშირებულია მშრომელი ებრაელების საადგილმამულო, საშინამრეწველო და წარმოებაში მოწყობასთან, და აგრეთვე შეკრიფოს უშუალოდ, სათანადო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ცნობები ადგილებზე მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და აწარმოოს მშრომელი ებრაელების საადგილმამულო და წარმოებაში მოწყობის შედეგების აღრიცხვა;

გ) წარადგინოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებში, კუთვნილებისამებრ, შუამდგომლობა ამა დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული მიწების გამოყოფის შესახებ მშრომელი ებრაელების კოლმეურნეობების მოსაწყობად;

დ) შეამოწმოს და დაამტკიცოს სიები კოლმეურნეობებში მოსაწყობ მშრომელი ებრაელებისა და გამოარკვიოს მიზომილ მიწებზე მათი დასასახლებელი რაიონები;

ე) გაანაწილოს გადასახლებულთა ცალკე ჯგუფები მშრომელი ებრაელების მიწათმოწყობისათვის მიზომილ ნაკვეთებზე; ამ განაწილებას ფაქტიურად ახდენენ ადგილობრივი საადგილმამულო ორგანოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეცვალოს, სათანადო ადგილობრივი მიწის ორგანოებთან შეთანხმებით, კოლმეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების შენახვის ზღვრული ვადები;

ზ) მიიღოს ზომები, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, მუშა, შინამრეწველი და ხელოსან ებრაელების პროფესიონალური და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხელახალი კვალიფიკაციისათვის;

თ) მიიღოს ზომები მიწათმოქმედ ებრაელთა შორის საშინამრეწველო დამხმარე საწარმოების განვითარებისა და მათი სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის;

კ) აწარმოოს მოლაპარაკება და დადგენილი წესით დადოს ხელშეკრულება საქართველოს სსრ-ში მოქმედ ორგანიზაციებთან და პირებთან, კომიტეტის წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო სახსართა გამონახვისათვის და კომიტეტის მუშაობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად;

ლ) გაუწიოს კონტროლი იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც მიზნად ისახავენ მშრომელი ებრაელების საადგილმამულო და საშინამრეწველო მოწყობისათვის დახმარებას;

მ) გაავრცელოს ცნობები ებრაელთა მშრომელ მასებში და საქართველოს სსრ-ში მოსახლეობის ფართე წრეებში კომიტეტის ამოცანებისა და მოღვაწეობის შესახებ.

4. მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედებაში, შინამრეწველობაში და წარმოებაში ჩაბმისათვის საჭირო კრედიტები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სათანადო უწყებათა ხარჯთაღრიცხვებით და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან და განაწილდება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის მიერ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები ინიშნებიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

6. მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა ტარდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით.

7. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ. ა. **თ. ყლენტი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. აგვისტოს 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

350.1

161. დადგენილება ს.კ.ს.

საავტო-ტრაქტორო პარკისა და სატრაქტორო ქონების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ.

საავტო-ტრაქტორო პარკის აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 16-ის თარიღისა და 254 №-ის დადგენილების შესაბამისად,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ დაწესებულებას და ორგანიზაციას, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს —დაავალონ თავიანთ ქვემდებარე საწარმოთ და ორგანიზაციათ, რომელთა განკარგულებაშიაც ტრაქტორებია:

ა) აღრიცხონ ყველა ტრაქტორი და სატრაქტორო ქონება (გარდა შეწევებისა და რეზინის სავალით მოქმედი ტრაქტორებისა, რომლების აღრიცხვასაც საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო აწარმოებს, იმის მიუხედავად, თუ რა სამუშაოზეა იგი მიქცეული (სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის დამზადება, მშენებლობა, საბურღი სამუშაო და სხვა მისთ.) და უზრუნველყონ ამ აღრიცხვის თავის დროზე და სისწორით წარმოება;

ბ) წარუდგინონ დადგენილი ფორმით საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცვის სამმართველოს რაიონებსა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ქონებული სატრაქტორო პარკის რაოდენობა იანვრის 1-ის და ივლისის 1-თვის არსებული მდგომარეობის შესახები ცნობების ჯუმლები—არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლის 1-ისა და აგვისტოს 1-ისა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცვის სამმართველოს—უზრუნველყოს კონტროლი და მეთვალყურეობა ტრაქტორებისა და სატრაქტორო ქონების ზედმიწევნითი რეგისტრაციისათვის და აგრეთვე სატრაქტორო პარკის რაოდენობისა და მდგომარეობის შესახები ცნობების სისწორისა და თავის დროზე წარდგენისათვის.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 10. № 1198.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

162. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების უფლებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1935 წლის ივლისის 23 გზატრანსის ცენტრალური სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 41 №-ი, მუხ. 349), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის მაისის 11-ის თარიღისა და 576 №-ის დადგენილება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების უფლებათა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 16 №-ი, მუხ. 109).

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ სკს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 10. № 1203.

ტფილისი.

---

163. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დებულების მე-3 მუხლის „ე" პუნქტის შეცვლისა და „გ" პუნქტის ამოშლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 23):

ა) მე-3 მუხლის „ე" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[3. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტს ეკისრება:....]

„ხელი შეუწყოს იმას, რომ დაწესებულებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის მშრომელმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღონ თავისი სახსრით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მშენებლობის საქმეში".

ბ) ამავე მუხლის „გ" პუნქტი გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. აგვისტოს 21. № 1087.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

164. დადგენილება ს კ.ს.

056 44

სახანძრო დაცვის შესახებ.

„სახანძრო დაცვის შესახებ“ მიღებული, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 16-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 3), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საუწყებო სახანძრო დაცვის ყველა ნაწილის მდგომარეობისათვის ზედამხედველობის გაწევა, საქალაქო და გამხედროებული სახანძრო დაცვის ყველა ნაწილის უშუალო მმართველობა და აგრეთვე სახანძრო დაცვის სანებაყოფლო ორგანიზაციებისათვის ოპერაციული ხელმძღვანელობა დაეკისროს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქართველოს სსრ-ში.

2. წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებს, ყველა უწყებას და ორგანიზაციას განუხრელად იხელმძღვანელონ ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) მიერ გამოცემული წესები და ინსტრუქციები საწარმოთა სახანძრო დაცვის შესახებ.

3. საქართველოს სსრ-ში არსებული საქალაქო სახანძრო რაზმების შემუშავებული შტატები და აგრეთვე საქართველოს სსრ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებისა და საბჭოთა მეურნეობების სახანძრო დაცვის საშტატო ერთეულების სიები გადაეგზავნოს რესპუბლიკანურ საშტატო კომისიას საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან განსახილველად და დასამტკიცებლად.

4. წინადადება მიეცეს ყველა ორგანოს—მიაქციოს სათანადო ყურადღება სახანძრო საქმის დაფინანსებას და გაითვალისწინოს თავისი ხარჯთაღრიცხვით საჭირო ხარჯები, როგორც შტატის შესანახად, გაწყობილობის შესაძენად და კადრების მოსამზადებლად, ისე სახანძრო სარაიებისა და სადგურების ასაგებად.

5. აეკრძალოს ყველა უწყებას, ორგანიზაციას და ადგილობრივ საბჭოს სახანძრო დაცვის შესანახად გათვალისწინებული სახსრის სხვა ღონისძიებაზე ხარჯვა.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) მოაწყოს არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 15-ისა სპეციალური კურსები სახანძრო დაცვის საშუალო თავმდგომთა შედგენილობის მოსამზადებლად.

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ უწყებას—გამოყონ და გაგზავნონ სახანძრო დაცვის საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმდგომთა შედგენილობის მოსამზადებელ კურსებზე (მუხ. 6) შესაფერი კანდიდატები ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) მიერ დადგენილი წესისამებრ.

8. კურსების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო დაზღვევის ანარიცხების თანხიდან (კადრების მომზადების მუხლით) საქალაქო სახანძრო რაზმების ხარჯთაღრიცხვებით კადრების მომზადებისათვის გათვალისწინებული სახსრით.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ყველა საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, კერძოდ— ტფილისის საქალაქო საბჭოს, გაათავისუფლონ ა/წ. მე-III კვარტალის ბოლომდე ყველა ის სასამსახურო სადგომი, რომელიც საქალაქო და სარაიონო სახანძრო სამცველოს უჭირავს, ამ სადგომებში მცხოვრები მდგმურებისაგან, ვისაც კავშირი არა აქვს სახანძრო დაცვაში სამსახურთან.

10. საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა საშუალო თავმდგომთა გარდამზადების კურსების კურსანტთა კვება გადიდდეს 60 ულუფით 9 თვის განმავლობაში; მიენდოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს—აღძრას სათანადო შუამდგომლობა სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე.

11. მიენდოს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქ. სსრ-ში განსაზღვროს იმ ობიექტების ნუსხა, სადაც მიზანშეწონილი არ არის საუწყებო სახანძრო დაცვის ნაწილების შენახვა და, დაინტერესებულ უწყებებთან ამ საკითხის შეთანხმების შემდეგ, ამ ობიექტებთან არსებული სახანძრო დაცვის ნაწილები დაშალოს, გადასცეს-რა სახანძრო დაცვის დაშლილი ნაწილების შენახვისათვის გათვალისწინებული სახსარი და ტექნიკური სახანძრო საჭიროველი სათანადო საქალაქო სახანძრო რაზმების გასაძლიერებლად, ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) გადაწყვეტილებისამებრ.

12. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე საკითხი ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში ხანძრის საწინააღმდეგო გაწყობილობის (ბრანდსბოიტი, ძალაყინი, ცული და სხვა მისთ.) წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. სექტემბრის 19. № 1271.
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ რ ო მ ა

165. დადგენილება ს.კ.ს.

„სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერაციულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების მე-8, 9, 10 და 11 მუხლების გაუქმებისა და მე-12 მუხლის შეცვლის მესახებ.

ЖУ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-8, 9, 10 და 11 მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილებისა „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერაციულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-8 №-ი, მუხ. 119) გაუქმებულ იქნას.

2. იმავე დადგენილების მე-12 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით.

3. „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს იურისკუნსულტი სათანადო შემთხვევაში პასუხს აგებს სადისციპლინო წესით საერთო საფუძველზე“.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 25. № 1133.
ტფილისი.

---

166. დადგენილება ს.კ.ს.

„მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშვთა დაცვის დაწესებულებებისათვის გადასადები ანარიცხების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლით შევსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 5-ის თარიღისა და 106 №-ის დადგენილება „მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშვთა დაცვის დაწესებულებებისათვის გადასადები ანარიცხების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 30) შევსებულ იქნას მე-4[1] მუხლით შემდეგი შინაარსისა:

„4[1]. იმ ორგანიზაციებისაგან შემოსული საერთო თანხიდან, რომელთაც ცენტრები ქალ. ტფილისში აქვთ, ხოლო საწარმონი რაიონებში, 40% ჩაირიც-

ხება ქალ. ტფილისის ანგარიშზე, ხოლო 60%—რაიონების ანგარიშზე—ეკუთვნ-ების შესაბამისად (მე-5 მუხლი); შემდგომ აღნიშნული თანხები თვითეული რაიონის ფარგლებში განაწილდება ამა დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 26. № 1151.

ტფილისი.

---

167. დადგენილება ს.კ.ს.

პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციებისათვის დასვენების სახლების, სანატორიუმებისა და სხვა სოციალურ-პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ დაჭერილი მუნიციპალიზებული შენობების განკუთვნის შესახებ.

„პროფესიონალური კავშირებისათვის პროფკავშირული დასვენების სახლების, სანატორიუმებისა და სხვა სოციალურ-პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ დაჭერილი მუნიციპალიზებული შენობების განკუთვნის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 14-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს—განკუთვნოს პროფესიონალური კავშირებისა და საკავშირთა შორისო ორგანიზაციებისათვის ის მუნიციპალიზებული შენობები, რომლებიც უჭირავთ ამა დადგენილების გამოცემის მომენტში პროფესიონალური კავშირების დასვენების სახლებს, სანატორიუმებს და სხვა სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს განკუთვნილი შენობების სია, იმის აღნიშვნით, თუ რომელი შენობა ვისთვისაა განკუთვნილი.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

3. ამა დადგენილების თანახმად პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი შენობების შენახვის, გამოყენებისა და ამორტიზაციის წესი განისაზღვრება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 5-ის დადგენილებით პროფესიონალური კავშირების მიერ სანატორიუმების, დასვენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებისა და სათანადო სამკურნალო დაწესებულებებისათვის დაჭერილი სადგომების საიჯარო სასყიდლის გადახდევინების აკრძალვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-7 №-ი, მუხ. 688).

საქ. სსრ სკს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 25. № 1131.
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

168. დადგენილება ს.კ.ს.

919.1

საბიბლიოთეკო ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პასუხისმგებლობა საბიბლიოთეკო წიგნების ფონდების დაცვისათვის ეკისრებათ იმ სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთ, რომელთა უშუალო გამგებლობაშიაც ბიბლიოთეკებია, და აგრეთვე ბიბლიოთეკების დირექტორებს (გამგეებს).

2. ეკრძალება ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას ბიბლიოთეკის გამოსახლება დაჭერილი სადგომიდან და სხვა, წინანდელზე უფრო უხეირო სადგომში გადაყვანა.

3. თანამდებობის პირი, რომელმაც თავისი არაწესიერი მოქმედებით (თუ უმოქმედობით) მიაყენა ბიბლიოთეკას ზიანი (წიგნების გაფუჭება, დაკარგვა, გაფანტვა, მოსპობა, აგრეთვე ბიბლიოთეკის გადაყვანა მისი მუშაობისათვის აშკარად უვარგის სადგომში, წიგნების უკანონო ჩამორთმევა ან მაკულატურად გამოყენებისათვის გადაცემა და სხვა მისთ.), მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თამახმად, და იგი მოვალეა აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას მიყენებული მატერიალური ზიანი.

4. ყველა ის პირი, რომელიც სარგებლობს წიგნებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკიდან, პასუხს აგებს მატერიალურად წიგნების დაცვისა და ბიბლიოთეკაში დაბრუნებისათვის. წიგნის გატაცებისა, განზრახ გაფუჭებისა ან დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობისათვის დამნაშავე პირი მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით და, ამის გარდა, მოვალეა აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას მიყენებული მატერიალური ზიანი.

5. უკეთუ მე-4 მუხლში აღნიშნული მოქმედება ჩაიდინა მშრომელმა, ითვალად და ბიბლიოთეკას სერიოზული ზიანი არ მიაყენა, ამასთანავე უკეთუ გატაცებული ან გაფუჭებული წიგნი შეიძლება დაუბრკოლებლად შეიცვალოს ახალი ეკზემპლარით, საქმე ასეთი პირის შესახებ შეიძლება გადაეცეს განსახილველად სათანადო საზოგადოებრივ სასამართლოს (საწარმოს საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს, სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოს და სხვა მისთ.).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აგვისტოს 25. № 1135.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 22 №-ში 1925 წ. სექტემბრის 21.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 53. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 23/IX; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X; ტირაჟი 1.800

თავლ. რწმ. № 87011 საქ. სახკომსაბჭოს სტამბა შეკვ. № 1240